საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "06" 02 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 99/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2012 წლის 13 მარტის N 66495/03 განაცხადით შპს „Georgian Industrial Asset Managment Group"-ის (მის: საქართველო, ქობულეთი, რუსთაველის ქ. N174) დირექტორმა იგორ ილჩიშინმა მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „GIAM GROUP აჭარის ნობათი Дары Аджарии Gifts of Ajara" (რეგ. N 22440) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „GIAM GROUP აჭარის ნობათი Дары Аджарии Gifts of Ajara" (რეგ. N 22440) საქართველოში რეგისტრირებულია 29.03.2012 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 29.03.2022 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-3, 29-ე, 30-ე, 31-ე, 32-ე და 33-ე კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „GIAM GROUP აჭარის ნობათი Дары Аджарии Gifts of Ajara" (რეგ. N 22440) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, სვეტიცხოვლის ტაძრის მიმდებარე ტერიტორია; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

მოთხოვნა ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში (მოთხოვნის რეგისტრაციის N 153, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 06.02.2013).

2. ეს გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; გიორგი ჯანაშვილს (მის: საქართველო, თბილისი 0102, ტერენტი გრანელის შესახვევი N6).